

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 2 კვარტლის შესრულების მიმოხილვა

მოგახსენებთ, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2019 წლის 27 დეკემბრის №25 დადგენილებით. დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობები და ხარჯები განსაზღვრული იქნა 13147300 ლარით. მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ხარჯების გეგმა შეადგენს 25153475 ლარს. რაც შეეხება 2020 წლის 2 კვარტლის ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმებს შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში - შეადგინა 13570268 ლარი.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის 2 კვარტლის შემოსავლების დაზუსტებული გეგმა იყო 11382368 ლარი, შესრულებამ შეადგინა 9033563 ლარი.

ლარი და გეგმა შესრულდა 79 პროცენტით. მათ შორის შემოსავლების სახეების მიხედვით:

გადასახადების გეგმა იყო 5894083 ლარი, შემოვიდა 4796884 ლარი და გეგმა შესრულდა 81 პროცენტით. სხვა შემოსავლების გეგმა იყო 469350 ლარი, შემოვიდა 450257 ლარი, გეგმის შესრულებამ შეადგინა 96 პროცენტი. ამავე პერიოდში შემოვიდა გრანტები 3786421 ლარი - 75 პროცენტი.

მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 2187900 ლარი.

მიმდინარე პერიოდის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 13570268 ლარი, შესრულებამ შეადგინა 13269899 ლარი და გეგმა შესრულდა 98 პროცენტით.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2020 წლის გადასახდელების (ხარჯების) გეგმა იყო 13570268 ლარი, შესრულებამ შეადგინა 10070030 ლარი, გეგმა შესრულდა 74 პროცენტით. ხარჯები გაწეულია ეკონომიით. მათ შორის:

1. ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 300000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 288352 ლარი და გეგმა შესრულდა 96 პროცენტით.
2. მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 903800 ლარი, შესრულებამ შეადგინა 757884 ლარი და გეგმა შესრულდა 84 პროცენტით.
3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისთვის გეგმიური 46300 ლარის ნაცვლად გახარჯული იქნა 39159 ლარი და გეგმა შესრულდა 85 პროცენტით.
4. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 7524395 ლარი, შესრულებამ შეადგინა 5534092 ლარი (74%).
5. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 627791 ლარი, შესრულებამ შეადგინა 451184 ლარი (72%).
6. საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის ხარჯები განსაზღვრული იქნა 2364386 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1722422 ლარი (73%).
7. კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობის ხარჯების გეგმა იყო 655297 ლარი, შესრულებამ შეადგინა 399619 ლარი და გეგმა შესრულდა 61 პროცენტით.
8. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 827470 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 662668 ლარი (80%).


9. მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დაფარვას მოხმარდა 106464 ლარი.

10. მერის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 12427 ლარი.

დეტალური ინფორმაცია მიმდინარე პერიოდის შემოსავლების და გადასახდელების შესახებ თან ერთვის.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო სამსახურის უფროსი:



/გ. მანგოშვილი/